განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „ ბიზნესის ადმინისტრირება"

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
2019 წლის 5 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	შპს
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების მესამე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (2014 წ.)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ემერიტუსი, პანდელის იპსილანდისი, თესალიის ტექნოლოგიური საგანმანათლებლო ინსტიტუტი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასისტენტ პროფესორი მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით რუსია (დამსაქმებლის წარმომადგენელი)
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქ-ნი ირმა ალექსიძე (სტუდენტთა წარმომადგენელი)

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს უნივერსიტეტის (საუ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2004 წლიდან და მას შემდეგ მუდმივად ჰყავს სტუდენტები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩაირიცხა 33 სტუდენტი (37 განმცხადებლიდან), ხოლო ოთხს მათგანს მიენიჭა დოქტორის ხარისხი. ამჟამად პროგრამას ჰყავს 11 დოქტორანტი, დანარჩენებმა დროებით შეაჩერეს სწავლა, ან დატოვეს პროგრამა. სტუდენტების უმეტესობა აპირებს აკადემიურ საქმიანობაში ჩართვას, ხოლო ზოგიერთი კურსდამთავრებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია.

სადოქტორო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ აკრედიტაცია გაირა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 24/12/2014წ. გადაწყვეტილება N2981). ამჟამად პროგრამა წარდგენილია ხელახალ აკრედიტაციაზე.

ბოლოდროინდელი პროგრამის შეფასება მოხდა პროცესში, რომელიც მოიცავდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და ამ გამოკითხვის შედეგების საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესება. პროგრამის გაუმჯობესების/გაძლიერების და განვითარების მიზნით განახლდა პროგრამის სტრუქტურა, კურსები და შესაბამისი ლიტერატურა. პროგრამა ფოკუსირებულია საერთაშორისო ბაზარზე, რისთვისაც ბოლო წლებში გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებთან; თუმცა, მას ჯერ კიდევ არ აქვს შესაბამისი საერთაშორისო პერსპექტივა.

პროგრამას ახორციელებენ ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების ფაკულტეტის კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადად კვლევით კომპონენტს (მაგ. დოქტორანტის ხელმძღვანელობას) და სასწავლო კომპონენტის მცირე ნაწილს, ხოლო პროგრამის უმეტესი ნაწილი მიწოდებულია დოქტორანტურის კურსებით სხვა ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ. საერთო ჯამში, პროგრამის მიწოდებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, ხოლო პროგრამის დირექტორი უზრუნველყოფს ძლიერ ხელმძღვანელობას. პროგრამა ხორციელდება თანამედროვე შენობაში, ხოლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სათანადო დახმარებას, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სამშაბათს, 2019 წლის 5 ნოემბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერის დოკუმენტი თანდართული პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსით (ინგლისურ ენაზე) და დოკუმენტით საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, CV-ებით და აკადემიური პერსონალის შესახებ დოკუმენტაციით და სხვ. (ქართულ ენაზე).

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის დირექტორს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, აკადემიურ პერსონალს (როგორც აფილირებულს, ისე მოწველს), სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, სოციალურ პარტნიორებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ვიზიტის პერიოდში ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

პროგრამა:

- **მეტწილად შესაბამისობაშია** პირველ სტანდარტთან: *საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან*

პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს მიზნები, რომლებიც თანმიმდევრულად არის ნაჩვენები სხვადასხვა დოკუმენტში. პროგრამის მიზნები ცდილობს გააფართოვოს მისი პერსპექტივა სამენეჯმენტო სპეციფიკის ინკორპორირებით მის მიზნებში. ამრიგად, მიუხედავად ამისა, რომ მიზნები მოიცავს სადოქტორო პროგრამის ძირითად მიზნებს, პროგრამის გზავნილი პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისადმი მაინც ბუნდოვანია. ფაკულტეტი და პროგრამის ადმინისტრაცია ზრუნავენ მისი კვლევითი პროფილის გაღრმავებაზე - ე.წ. *სამეცნიერო ინსტიტუტის* შექმნაზე, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გააკონტროლებს და შეაფასებს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების ხარისხს, ხოლო ამ შედეგების დაკავშირება პერსონალის ანაზღაურების პოლიტიკასთან წარმოადგენს მათი ინტერესის დადასტურების მაგალითს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, უკავშირდება მათ; რეალისტური, მიღწევადია და შეესაბამება პროგრამით მიღებულ კვალიფიკაციას და კვალიფიკაციის დონეს. ისინი უნდა გაუმჯობესდეს, რათა ასახოს ინგლისური ენისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური უნარები, რომელთა მნიშვნელოვნებაც აღინიშნა ბაზრის კვლევაში. დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ მტკიცებულება არ მიგვიღია მათთან გასაუბრებისას.

სადოქტორო პროგრამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მისი მხარდაჭერა მოხდეს სადოქტორო პროგრამისთვის შესაფერისი პროფილის დაინტერესებული მხარეების მიერ. ამგვარმა თანამშრომლობამ შეიძლება წარმოშვას ახალი კვლევითი იდეები და სფეროები. გარდა ამისა, დაინტერესებულ ორგანიზაციასთან (კერძო, სამთავრობო, არასამთავრობო) და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ზრდის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან კვლევითი სახსრების მოზიდვის შანსებს.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეორე სტანდარტთან. *სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება*

დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და გამჭვირვალე - ხელმისაწვდომია პროგრამის ვებ – გვერდზე, რომელიც საჭიროებს განახლებას. პროგრამის მიზანია მაღალი კალიბრის სტუდენტების შერჩევა, ხოლო მისაღები კრიტერიუმები საკმაოდ მკაცრია და ამ მიზნების შესაბამისი. სავალდებულო მოსამზადებელი კურსები უნდა განხორციელდეს სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ძლიერი აკადემიური პროფილი, მაგრამ არა მონათესავე მაგისტრატურის დონის განათლება და სტუდენტთა კონსულტირება პროგრამაზე დაშვებამდე მოთხოვნების გასაცნობად, უნდა იქნეს განხილული, როგორც სტუდენტების მიერ სწავლის მიტოვებისა და გახანგრძლივების მიმართ საწინააღმდეგო ქმედება.

პროგრამის სტრუქტურამ განიცადა კონკრეტული ცვლილებები, რამაც გააუმჯობესა იგი და მოწონებულ იქნა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ. მიუხედავად ამისა, სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს ფაკულტეტის კონტროლის ქვეშ, რის შედეგადაც იგი გახდება ადვილად შესასწორებელი და მორგებადი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებზე.

სტუდენტები ეცნობიან უმაღლეს განათლებაში არსებულ სწავლების ბევრ ასპექტს და ეძლევათ შესაძლებლობა შესაბამისი პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. კვლევის მეთოდოლოგიის კურსი, სადისერტაციო ნაშრომის დასრულება, ორი სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება და გამოცემა ეხმარება პროგრამის დასრულებისას გამიზნული კვლევითი უნარების გამომუშავებაში. რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების ანალიზისთვის ტრანსფერული უნარები, ასევე, უნდა მოიცავდეს თანამედროვე ინფორმაციულ სისტემებს. ნაშრომების ინგლისურ ენაზე გამოცემა ხელს შეუწყობს ინგლისურ ენაზე ტრანსფერულ უნარების განვითარებას და საბოლოოდ გაზრდის ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამის განმავლობაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები ფოკუსირებულია კვლევის მეთოდოლოგიის უნარების შეძენაზე, ინტენსიური სემინარის სწავლებისა და პრაქტიკა-ასისტენტობის საკითხებზე.

სტუდენტთა შეფასება ხდება წინასწარგანსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შესაბამის დოკუმენტებში. საერთო ჯამში, შეფასების პროცესი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტისათვის გამჭვირვალეა.

- **შესაბამისობაშია** მესამე სტანდარტთან: *სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა*

სტუდენტთა მხარდაჭერის ყველა საჭირო სერვისი სახეზეა. სტუდენტი კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებებში, კონფერენციებში, სამეცნიერო გაერთიანებებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ყურადღება უნდა გამახვილდეს სტუდენტთა მონაწილეობის გაზრდაზე საერთაშორისო პროგრამებში, რაც ამჟამად მცირეა.

აკადემიური პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები.

ყველა დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტი სუბსიდირებას უწევს სტუდენტის ხარჯებს კვლევებზე (დარგობრივი კვლევები, პუბლიკაციები და ა.შ.) პროგრამის საფასურის 1/3-მდე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს. ინტერვიუირებულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კმაყოფილება კვალიფიციური ხელმძღვანელობით და აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად შეუძლიათ კონსულტაციისა და დახმარების მიღება ხელმძღვანელებისაგან, ისევე, როგორც ფორმალური თუ არაფორმალური კომუნიკაცია.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტთან: *სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა*

პროგრამას ახორციელებს 20 აკადემიური პერსონალი, 18 მათგანი აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებს.

დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელები ფლობენ სფეროში უახლეს ცოდნას და არიან სადოქტორო დისერტაციების რელევანტური სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორები. ყურადღება უნდა გამახვილდეს ჟურნალებსა და კონფერენციების მასალებში კვლევის შედეგების გაზრდაზე, რათა იგო ხელმისაწვდომი გახდეს საერთაშორისო საზოგადოებისათვის. სამეცნიერო ინსტიტუტი და ხარისხიანი პუბლიკაციებისათვის დაჯილდოების სისტემა, სავარაუდოდ, წვლილს შეიტანს ამ მიმართულებით.

დოქტორანტთა რაოდენობა შესაბამისობაშია ხელმძღვანელი აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დოქტორანტებს შეუძლიათ ჰყავდეთ ხელმძღვანელებად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი; თუმცა, დაფიქსირდა გარკვეული ზედმეტი დატვირთვები. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის ძალიან მცოდნე, გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანი. იგი ერთგულია და პირადად მონაწილეობს პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე.

აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს მათი სწავლების, კვლევისა და სხვა სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. პერსონალის შეფასებას ახორციელებს პერსონალის შეფასების კომიტეტი, რომელიც შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისგან. სტუდენტები მონაწილეობენ აკადემიური საქმიანობის შეფასებაში. შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებაში, კარიერულ წინსვლასა და ხელფასების კორექტირებაში. შეფასების პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს, თუ აკადემიურ პერსონალს მოსთხოვთ საკუთარი პერსონალური განვითარების გეგმის წარდგენას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, იქნება ეს ინფრასტრუქტურა თუ სასწავლო მასალები და მხარდაჭერა (ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები). სასურველია ელექტრონული

წიგნების რაოდენობის გაზრდა და სასურველია, დამატებითი სამეცნიერო პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელება.

სწავლის საფასური იძლევა პროგრამის მდგრადობას საოპერაციო ხარჯების დაფარვისა და სტუდენტთა კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით. საერთაშორისო და ეროვნული განვითარების და კვლევითმა გრანტებმა, შეიძლება მოიზიდოს დამატებითი რესურსები სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და ინტერნაციონალიზაციისთვის.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეხუთე სტანდარტთან. *სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები*

ხარისხის უზრუნველყოფა წარმოდგენილია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე და მოიცავს პროგრამის განხორციელების შეფასებას, სწავლის შედეგების გაზომვას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით და პროგრამის კომიტეტისადმი რეკომენდაციების წარდგენას შემდგომი განვითარებისათვის. დაკავშირებული დოკუმენტაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართულობა არ იყო აშკარა; იგი უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს უფრო არსებითი. საუ-ს მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების პროცედურა უზრუნველყოფს შეფასების შიდა და გარე მეთოდების შერწყმას, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას პროგრამის შეფასებაში და მის შემდგომ განვითარებაში. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხდება ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად. იმის გამო, რომ ფაკულტეტი არ არის სასწავლო კომპონენტის უმეტესი ნაწილის „მესაკუთრე“, პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული პროცესის ეფექტურობა შეზღუდულია და საჭიროებს ცვლილებების გათვალისწინებას.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

  - გამოკვეთეთ პროგრამის მთავარი მიზანი და განსაზღვრეთ იგი სადოქტორო განათლების ძირითადი კომპონენტის გარშემო, რითაც თავიდან აიცილებთ ნებისმიერ არასწორ კომუნიკაციას საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით საზოგადოებასთან.
  - მიაწოდეთ ინფორმაცია პროგრამის მიზნის შესახებ სტუდენტებს, პერსონალს, ასევე მოწვეულ პერსონალსა და ხელმძღვანელებს როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის შესაბამისობა მის მიზანთან და გაზიარება ძირითად ჩართულ მხარეების შორის.
  - ჩამოაყალიბეთ დაინტერესებული მხარეების სათანადო ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იქნება შერჩეული სადოქტორო პროგრამისათვის.
  - გააფართოვეთ სწავლის შედეგები, რათა მოიცვას ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნები და ICT უნარები კვლევისთვის.
  - პროგრამის აღწერასთან დაკავშირებით უზრუნველყავით ყველა საინფორმაციო წყაროს თანმიმდევრულობა.

- შემოიღეთ სავალდებულო მოსამზადებელი კურსები სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ძლიერი აკადემიური პროფილი, მაგრამ არ უსწავლიათ ბიზნესის ადმინისტრირება მაგისტრატურის დონეზე.
- ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უნდა მოიპოვოს "მესაკუთრეობა" პროგრამის სასწავლო კომპონენტზე. სხვა სკოლების მიერ შემოთავაზებული კურსები უნდა გადაიხედოს და მოვიდეს შესაბამისობაში სადოქტორო პროგრამის პროფილთან ბიზნესის ადმინისტრირებაში.
- განაახლეთ პროგრამის აღწერილობის დოკუმენტები, მათ შორის, დაშვების კრიტერიუმები, კურსის სტრუქტურა და სწავლის შედეგები შესაბამის ვებ – გვერდებზე.
- IT უნარები კვლევისათვის (მაგ. მონაცემთა მეცნიერება რაოდენობრივი კვლევისთვის ან თვისობრივი მონაცემების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა) ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესებაში, რადგან ისინი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისად დადგინდა პრიორიტეტებად დოქტორანტებისათვის.
- სტუდენტებს მოითხოვეთ ორი ნაშრომის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს ინგლისურენოვანი უნარების განვითარებაში და, ამავე დროს, გაზარდეთ კვლევის შედეგების გავრცელება.
- საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები ან საერთაშორისო კონფერენციები არ უნდა ჩაითვალოს დისერტაციის დაცვის წინაპირობების შესრულებად.
- კურსი "*კვლევის ხარისხობრივი მეთოდები*" უნდა ადაპტირდეს ბიზნესში კვლევის მეთოდოლოგიების მისაღწევად ხარისხობრივ ტექნიკაზე აქცენტირებით, და გაუმჯობესდეს, ინფორმაციული სისტემის დახმარებით ხარისხობრივი ანალიზისათვის.
- შეინარჩუნეთ პროგრამის სასწავლო კურსი "ტექსტის მითითება და თარგმნა", რომელიც დაკავშირებულია დოქტორანტის აკადემიურ წერის უნარებთან. კურსის დატვირთვის შემცირება 5 კრედიტამდე, გამოათავისუფლებს ადგილს პროგრამის პროფილთან დაკავშირებული კურსების შესათავაზებლად.
- "ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალიზაციის მოდულის" სწავლის შედეგები უნდა იყოს გამოხატული ისე, რომ კურსი მოერგოს დოქტორანტების კონკრეტულ სამეცნიერო პროფილს(ებს).
- ჩამოაყალიბეთ მოთხოვნები ორი სტატიიდან მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებაზე, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ინგლისურენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალის შექმნით, რადგანაც ყველა ინდექსირებული ჟურნალი ან / და კონფერენცია არ არის იგივე სამეცნიერო ხარისხის.
- ფაკულტეტმა უნდა გაწიოს ძალისხმევა დოქტორანტთა ინტერნაციონალიზაციის გასაზრდელად. მაგალითად, ევროპისა და სხვა უნივერსიტეტების მიერ ERASMUS +

პროგრამის ფარგლებში ან დამოუკიდებლად შემოთავაზებული მოკლევადიანი „საზაფხულო სკოლები“ დოქტორანტებისათვის.

- აკადემიურმა პერსონალმა ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში, რომელიც ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, რათა გაიზარდოს კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელება.
- პროგრამების მატერიალური ბაზა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას უფრო მეტი პროგრამული ინსტრუმენტი, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ დოქტორანტებს კვლევისათვის.
- პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართულობა უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს უფრო არსებითი.
- უზრუნველყავით, რომ დოქტორანტურის საკითხების სასწავლო კომპონენტზე მორგება შესაძლებელია - არა მხოლოდ კურსების დამატებით / ამოღებით, არამედ ასევე კურსის პროფილის დიფერენციაციით, რათა უკეთ მოერგოს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საჭიროებებს.

- **რჩევების რეზიუმე**

- განახორციელეთ პროგრამის მიზნობრივი ნიშნულების დადგენის პროცესის ფორმალიზება.
- გახადეთ ინფორმაცია პროგრამის მიზნების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზე განთავსებით.
- დაფიქრდით, მომავალ სტუდენტებთან უფრო დეტალური კომუნიკაციისთვის, საორიენტაციოდ და მოთხოვნების გასაცნობად გათვალისწინებული აქტივობების შესახებ
- შეკრიბეთ გამოხმაურებები გარიცხვისა და ასევე, სწავლის შეჩერების მაღალი მაჩვენებლების მიზეზების დასადგენად.
- განაახლეთ პროგრამის ვებ – გვერდი მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- ფაკულტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტების მიერ დისერტაციის მომზადება ინგლისურ ენაზე. ეს ხელს შეუწყობს დოქტორანტთა ინგლისური ენის ცოდნის გაძლიერებას, გაზრდის პროგრამის ინტერნაციონალიზაციასა და მისი კვლევის შედეგებს.
- გაზარდეთ დაინტერესებული მხარეთა ჩართულობა დამსაქმებლების სათანადო შერჩევით ორგანიზაციებიდან, რომლებიც ასოცირებულები არიან კვლევის საკითხებთან ბიზნესისა და ეკონომიკის დარგში და / ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
- განიხილეთ იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტებმა გაიარონ კურსები სხვა უნივერსიტეტებში, ან სადოქტორო საზაფხულო სკოლებში საზღვარგარეთ, თუ ეს შეესაბამება მათი დისერტაციის პროფილს.
- შეიმუშავეთ ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების მოზიდვის სტრატეგია.

- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს დოქტორანტების აკადემიური მოსწრების სტანდარტების ამაღლება ეროვნული რეგულაციების მიერ მოთხოვნილზე მეტად, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ზოგადად, მინიმალურ დასაშვებ მოსწრებას მაშინ, როდესაც დოქტორანტები უნდა მიისწრაფოდნენ სრულყოფილებისაკენ.
- ყურადღება უნდა მიექცეს დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ზედმეტი დატვირთვების თავიდან აცილებას.
- გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესი, ყოველწლიურად მოკლევადიანი განვითარების გეგმის წარდგენის მოთხოვნის შემოღებით, რომელიც მოიცავს კონკრეტულ განსახორციელებელ ქმედებებსა და აქტივობებს 1-3 წლის განმავლობაში. გეგმების შესაძლოა განახლდეს ყოველწლიურად და დამტკიცდეს ადმინისტრაციის მიერ, ხოლო შეფასება შეიძლება დაუკავშირდეს რეალიზაციის ხარისხს.
- გასათვალისწინებელია, რომ ბიბლიოთეკამ შეიძინოს ელექტრონული წიგნები ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში.
- გაზარდეთ ბიუჯეტი სამეცნიერო /კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად.
- გამოიყენეთ დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები საერთაშორისო და ეროვნული განვითარებისა და კვლევითი გრანტებიდან.
- მიზანშეწონილია პროგრამის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიღება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, მათი მცირე რაოდენობისა და სიმწიფის დონის გათვალისწინებით (მაგ. დოქტორანტები).
- პროგრამას შეუძლია განახორციელოს არაფორმალური გარე შეფასების ღონისძიებების სიმულაცია, დეპარტამენტის / ფაკულტეტის გარე პერსონალის მონაწილეობით. შესაძლებელია გამოსადეგი იყოს უნივერსიტეტების გაერთიანების ორგანოების, როგორიცაა AACSB-ის და CEEMAN-ის წევრობის გამოცდილება.
- გამოკითხვების გარდა შეიმუშავეთ დამატებითი მექანიზმი, რათა დამსაქმებლებისაგან მიიღოთ დასტური, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები შეესაბამება პროგრამის პროფილს (მაგ. ფოკუს ჯგუფები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები კვლევითი ინტერესების სფეროების შესახებ და სხვ.).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - ე.წ. სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება
  - სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა შემცირებული სწავლის საფასურის თვალსაზრისით, კვლევასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად (სფეროს კვლევა, მასალა, გამოწერა, პუბლიკაციების საფასური და ა.შ.).

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების ინსტრუქციების (რომელიც დამტკიცებულია EQUAL - European Quality Link-ევროპის ხარისხის ქსელის საბჭოს მიერ 2016 წლის მაისში) შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის მიზანია: ,,... **მკვლევარების მომზადება,** რომელთაც შეეძლებათ მკვლევარისა და მასწავლებლის როლის კვალიფიციურად შესრულება აკადემიურ სფეროში ან უმაღლესი განათლების სექტორს გარეთ, მაგ; კვლევით ინსტიტუტებში, საკონსულტაციო კომპანიებში, და ა.შ. დოქტორანტურა, ,,ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ინსტრუქციების თანახმად (http://equal.network/wp-content/uploads/2016/11/161110-EQUAL_Guidelines_Doctoral.pdf) უნდა მიანიშნებდეს კვლევის განხორციელების კომპეტენციაზე, რომელიც აუცილებელია აკადემიურ პერსონალისთვის კვლევაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო გარემოში, ან სფეროს კვლევით დაწესებულებაში თანამშრომლად ყოფნისთვის. განსახილველ პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს მიზნები, რომლებიც თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტში. თვითშეფასების ანგარიშის და სადოქტორო პროგრამის აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, პროგრამის მიზნებია "… მოამზადოს მკვლევარი და <u>ფართო პროფილის მეცნიერი ბიზნესის ადმინისტრირებაში</u>, ახალი ცოდნის შექმნის, მისი გადაცემის, პრობლემის იდენტიფიცირების და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, <u>საერთაშორისო და ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით</u> და განავითაროს დოქტორანტებში პედაგოგიური უნარები". პროგრამის მიზნები, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მოიცავს "...კურსდამთავრებულის სამეცნიერო და <u>მენეჯერული უნარების</u> განვითარებას, აგრეთვე ცოდნის და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას, რათა მას შეეძლოს <u>უფროს მენეჯერად</u>, მკვლევარად და პროფესორად / ლექტორად მუშაობა… "

პროგრამის ამოცანებისა და მიზნების გარკვევისას ხდება კურსდამთავრებულთა თანამდებობების ტიპების მითითება, მათ შორისაა „საგანმანათლებლო დაწესებულებები; სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტები; ანალიტიკური კვლევის ცენტრები; კომერციული და საერთაშორისო ორგანიზაციები; სახელმწიფო და კერძო სექტორების ანალიტიკური და კვლევითი განყოფილებები; კერძო კომპანიების ხელმძღვანელი თანამდებობები, ... აგრეთვე სამრეწველო და არაკომერციული / არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სიღრმისეული სამეცნიერო ცოდნა სჭირდებათ ბიზნესის ადმინისტრირებისა და კვლევითი უნარების სფეროში. ”

ნათელია, რომ პროგრამა ცდილობს მისი პერსპექტივის გაფართოებას თავის მიზნებში მენეჯერული სპეციფიკის ჩართვით. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მიზნები მოიცავს სადოქტორო პროგრამის ძირითად ამოცანებს, პროგრამის გზავნილი პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისადმი მაინც ბუნდოვანია.

მართალია, სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები აგრძელებენ კარიერას მაღალ მენეჯერულ თანამდებობებზე კერძო, სამთავრობო და სხვა ორგანიზაციებში, ეს არანაირად არ არის სადოქტორო პროგრამის როლი, რომელიც მკაფიოდ უნდა იყოს ფოკუსირებული კვლევითი კომპეტენციის განვითარებაზე, კვლევაზე ორიენტირებულ ტრანსფერულ უნარებზე და არა ზოგად სამეცნიერო ცოდნაზე, ბიზნესის ადმინისტრირებაში. სადოქტორო დონის კვლევა შეიძლება დაკავშირებული იყოს სოციო-ეკონომიკურ და ბიზნეს პრობლემებთან, მაგრამ არა მენეჯერულ კომპეტენციებთან.

სტუდენტების სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი (33 – დან 5 – 15%) ან სწავლის შეჩერება ან გახანგრძლივება (33 – დან 15 – 45 %), პრობლემაა, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მწვავეა 2017 წლის (7 – დან 2 აგრძელებს) და 2018 – ის (4-დან 1 აგრძელებს) კოჰორტებისათვის.

გამოკითხული დამსაქმებლები, რომლებიც წარმოადგენდნენ ტრადიციულ ბიზნესს და არა კვლევით საზოგადოებას, ასევე ინარჩუნებენ ამ ბუნდოვანებას, რადგან მათი უმეტესობისთვის დოქტორანტურის ღირსება არა კვლევით კომპეტენცია, არამედ როგორც "უკეთესი კვალიფიკაციის მქონე" თანამშრომლის მანიშნებელია. თუმცა, გამოკითხულ დამსაქმებლებს შორის რამდენიმეს ჰქონდა ნათელი წარმოდგენა, თუ რას სთავაზობს სადოქტორო პროგრამა, ასევე წარმოადგინეს საინტერესო იდეები, რომლებიც ადრე პროგრამის ადმინისტრაციისათვის არასოდეს ყოფილა გაზიარებული; ისინი თავიანთ მონაწილეობას აკრედიტაციის პროცესში ხედავენ, როგორც ”პირველ ნაბიჯს” ზემოთ ხსენებულის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, პროგრამამ უნდა შეარჩიოს სადოქტორო პროგრამისთვის სწორი პროფილის მქონე დამსაქმებელთა ჯგუფი. ამგვარმა თანამშრომლობამ შეიძლება წარმოშვას ახალი კვლევითი იდეები და სფეროები. გარდა ამისა, დაინტერესებულ ორგანიზაციასთან (კერძო, სამთავრობო, არასამთავრობო) და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ზრდის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან კვლევითი სახსრების მოზიდვის შანსებს.

იმის გამო, რომ დოქტორანტთა უმეტესობა უკვე მონაწილეობს უნივერსიტეტის სწავლების პროცესში, დარჩენილთა უმრავლესობა კი გეგმავს მონაწილეობას, პროგრამამ

სწორად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი მიზნები. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კურსდამთავრებული / სტუდენტი დასაქმებულია უნივერსიტეტში, ზრდის პროგრამის პასუხისმგებლობას, რომ მოახდინოს მკაფიო ფოკუსირება და გააძლიეროს კვლევითი კომპეტენციების სფეროები, რადგან ეს კურსდამთავრებულები იქნებიან უმაღლესი განათლების მასწავლებლებისა და კვლევითი პერსონალის შემდეგი თაობა. ამ გზით პროგრამა შეასრულებს უნივერსიტეტის მისიას "სწრაფვას სრულყოფისაკენ საკუთარ მაგალითზე".

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ფაკულტეტისა და პროგრამის ძალისხმევას დასახოს კვლევის ხარისხი მთავარ პრიორიტეტად. ასეთი ძალისხმევის მაგალითებია ეგრეთ წოდებული სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აკონტროლებს პერსონალის კვლევის შედეგების ხარისხს და ამ შედეგების პერსონალის ანაზღაურებასთან დაკავშირების პოლიტიკას.

პროგრამა შედარებულ იქნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სხვა სადოქტორო პროგრამებს, რომელიც შეთავაზებულია უნივერსიტეტების მიერ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და გამოტანილია გარკვეული დასკვნები. ექსპერტთა გუნდს სურს მოუწოდოს ადმინისტრაციას, უფრო ღრმად განავითაროს მიზნობრივი ნიშნულების გამოყენების კარგი პრაქტიკა, რომ გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება მოხდეს მსგავსებებისა და განსხვავებების უფრო სისტემატური შედარებისა და დასაბუთების გზით.

საერთო ჯამში, პროგრამის მიზნები და ამოცანები შესაფერისია დოქტორანტურის დონის პროგრამისათვის, თუმცა ახასიათებს ბუნდოვანება და გაურკვევლობა.

ამგვარად, აუცილებელია ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის დისკუსია და დაკონკრეტება, თუ რა არის აკადემიური სადოქტორო პროგრამის (რომელიც მოამზადებს მკვლევარებს მენეჯმენტის მეცნიერებაში) მთავარი მიზანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგებისა და შინაარსის ეფექტურად ჩამოყალიბება. პროგრამის მიზნებმა ხაზი უნდა გაუსვას ასევე ინტერნაციონალიზაციას, იმის დაკონკრეტებით, თუ რა იგულისხმება "საერთაშორისო მოთხოვნებში" ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხის მფლობელისათვის.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ქართულენოვან ვებ-გვერდზე. ინგლისურენოვან გვერდებზე, ასოცირებულ ლინკს მივყავართ იგივე ქართულენოვან დოკუმენტთან. ამიტომ, გირჩევთ პროგრამის მიზნების შესახებ ინფორმაცია გახადოთ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია.
- სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება";
- თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტურის დებულება

- საქართველოს უნივერსიტეტის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარებისათვის (2014-2020წწ.)

რეკომენდაციები:

- გამოკვეთეთ პროგრამის მთავარი მიზანი და განსაზღვრეთ იგი სადოქტორო განათლების ძირითადი კომპონენტის გარშემო, რითაც თავიდან აიცილებთ ნებისმიერ გაურკვევლობას საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით საზოგადოებასთან კომუნიკაციისას.
- პროგრამის მიზნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, პერსონალისა და მოწვეული პერსონალის/ხელმძღვანელებისთვის როგორც საუნივერსიტეტო, ისევე გარეშე დონეზე, პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის შესაბამისობის მის მიზანთან უზრუნველყოფისა და ძირითადი მონაწილე მხარეებისათვის გაზიარების მიზნით.
- ჩამოაყალიბეთ დაინტერესებული მხარეების სათანადო ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იქნება შერჩეული სადოქტორო პროგრამისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- განახორციელეთ პროგრამის მიზნობრივი ნიშნულების დადგენის პროცესის ფორმალიზება.
- გახადეთ ინფორმაცია პროგრამის მიზნების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებით ინგლისურ ენაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ე.წ სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აღწერილია თანმიმდევრულად, მოიცავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რასაც ითვალისწინებს პროგრამის შინაარსი. პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგები და პროგრამის მიზნების რუქა, რომელიც ასახავს თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისობას პროგრამის თითოეულ მიზანთან.

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია, შეესაბამება პროგრამის გავლის შედეგად მოპოვებულ კვალიფიკაციას და კვალიფიკაციის დონეს.

რეგულაციების თანახმად, პოტენციური დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში. თუმცა, დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ მათთან ინტერვიუს შედეგად არანაირი მტკიცებულება არ იქნა მოპოვებული. როგორც წინა ნაწილში აღინიშნა, ფაკულტეტმა და პროგრამის ადმინისტრაციამ უნდა ჩამოაყალიბონ დამსაქმებელთა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ექნება სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის სწორი პროფილი. ამავე დროს, ტარდება შრომის ბაზრის კვლევა და კვლევის შედეგების საფუძველზე, შრომის ბაზრის მოთხოვნები ინკორპორირდება პროგრამაში. ინგლისური ენისა და ICT უნარები იდენტიფიცირდა, უნივერსიტეტისათვის როგორც აკადემიური თანამდებობების შესავსებად მაღალმოთხოვნადი; თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგებში ეს მკაფიოდ არ არის მითითებული. "ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა", რომელიც განსაზღვრულია პროგრამის ამოცანად, ასევე არ არის გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგებში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხსენიებულ იქნეს ამ სფეროში კონკრეტული და გაზომვადი სწავლის შედეგები (მაგ., საერთაშორისო ჟურნალებში უცხო ენებზე გამოქვეყნების შესაძლებლობა, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის დამყარება და ა.შ.). იგივე ეხება ICT უნარებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა მეცნიერების სფეროში მნიშვნელოვან მიღწევებთან, რაც უზრუნველყოფს კვლევის ღირებულ ტრანსფერულ უნარებს.

პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც აღწერს, როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს პირველად ან / და მეორად შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა კვლევას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების მიერ გავლილი კურსების შედეგების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილ პროგრამის აღწერილობაში, შეტანილ სწავლის შედეგებსა და პროგრამის ვებ – გვერდზე განთავსებულ შესაბამის დოკუმენტს შორის დაფიქსირდა დიდი შეუსაბამობა (https://online.ug.edu.ge/programs/pdf/doctor/172.pdf) სტრუქტურასთან, შინაარსთან და მათ რაოდენობასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის ვებ-გვერდი (ნანახია 08/11/2019) ○ ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები ○ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
რეკომენდაციები: ○ გააფართოვეთ სწავლის შედეგები, რათა მოიცვას ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნები და ICT უნარები კვლევისთვის. ○ პროგრამის აღწერასთან დაკავშირებით უზრუნველყავით ყველა საინფორმაციო წყაროს თანმიმდევრულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		☒		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ნათელია და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, უნივერსიტეტის რეგულაციებს და მოიცავს მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში, ეკონომიკაში ან მასთან დაკავშირებულ სფეროებში. სხვა სფეროებში მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ მენეჯერული გამოცდილება. აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით (დადგენილია კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები სხვადასხვა აღიარებულ სერთიფიკატთან დაკავშირებით). აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ სადოქტორო წინადადება (კონცეფცია), რომელიც მოიცავს კვლევის თემას, კვლევის თემის აღწერას და თემის დასაბუთებას, სამომავლო კვლევის მეთოდებს და სამაგისტრო დისერტაციას, თუ მათი მაგისტრატურის სფერო მონათესავეა. პოტენციური ხელმძღვანელების მიერ შემოთავაზებული კვლევითი სფეროები ადრევე უნდა გახდეს საჯაროდ ცნობილი დაინტერესებული კანდიდატებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადის წარდგენამდე კომუნიკაცია და კონსულტაციის მიღება პოტენციური ხელმძღვანელებისგან. სკოლის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას განიხილავს კანდიდატის კვლევის უნარს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევების, ან სამომავლო კვლევის მეთოდების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია წინადადებაში და შემოთავაზებული კვლევის მეთოდოლოგიის რელევანტურობას კვლევის კითხვებთან. ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ არის საჯარო და გამჭვირვალე - ხელმისაწვდომია პროგრამის ვებ – გვერდზე, თუმცა აღინიშნა გარკვეული გადახრები (მაგ. სარეკომენდაციო წერილების მოთხოვნა), რაც უნდა გამოსწორდეს. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო მოსამზადებელი კურსების გავლას იმ კანდიდატებისთვის, რომელთაც შესაბამისი სფეროს ხარისხი არ გააჩნიათ. პროგრამის მიზანია მაღალი კალიბრის სტუდენტების შერჩევა; დაშვების კრიტერიუმები საკმაოდ მკაცრი და ამ მიზნების შესაბამისია. მიუხედავად ამისა, ბოლო სასწავლო წლის განმავლობაში შეინიშნება გარიცხვისა და სტატუსის შეჩერების მაღალი მაჩვენებლები (იხ. აგრეთვე ნაწილი 1.1). პროგრამის დირექტორებს და აკადემიურ პერსონალს მიაჩნია, რომ კანდიდატები კარგად არიან მომზადებული სადოქტორო პროგრამაზე სწავლისათვის და

სტუდენტების მიერ პროგრამის მიტოვების ან სწავლის გადადების მთავარი მიზეზია კონფლიქტი სტუდენტების სამსახურებრივ მოვალეობებსა და პროგრამის მკაცრ მოთხოვნებს შორის. ექსპერტთა ჯგუფი არ იყო ინფორმირებული უნივერსიტეტის რაიმე მცდელობის შესახებ, რომ შეეგროვებინათ ინფორმაცია სწავლის მიტოვებისა და შეჩერების მაღალი მაჩვენებლების გამომწვევ მიზეზებზე. მიუხედავად ამისა, მისასალმებელია პროგრამის მოთხოვნების შენარჩუნება მაღალ აკადემიურ დონეზე და არც უნდა განიხილებოდეს დაშვების წინაპირობების შერბილება. შესაძლო დაშვებისთვის ქმედებები უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის შესახებ მკაფიო ინფორმაციის მიწოდებას სადოქტორო პროგრამის ორიენტაციისა და მოთხოვნების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სადოქტორო პროგრამის აღწერა და სილაბუსები ○ პროგრამის დირექტორებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები. ○ პროგრამის ვებ-გვერდი (ნანახია 08/11/2019)
რეკომენდაციები: ○ შემოიღეთ სავალდებულო მოსამზადებელი კურსები სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ძლიერი აკადემიური პროფილი, მაგრამ არ უსწავლიათ ბიზნესის ადმინისტრირება მაგისტრატურის დონეზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ გაითვალისწინეთ მომავალი სტუდენტებისათვის პროგრამის ორიენტაციისა და მოთხოვნების უფრო დეტალური გადაცემისთვის შესაბამისი ქმედებები. ○ შეკრიბეთ გამოხმაურებები გარიცხვისა და ასევე, სწავლის შეჩერების მაღალი მაჩვენებლების მიზეზების დასადგენად. ○ განაახლეთ პროგრამის ვებ – გვერდი მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნ ა წ ი ლ ობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის რეგულაციები შემუშავებულია პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით ხარისხის შეფასება ხდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა, შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვისა და მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ისევე, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის შიდა შეფასებით. საერთო ჯამში, პროგრამის სტრუქტურამ განიცადა კონკრეტული ცვლილებები, რომლებმაც გააუმჯობესა მისი სტრუქტურა, რასაც მიესალმნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა არ დაფიქსირებულა დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, ალბათ, 1.1 და 1.2 ნაწილებში აღნიშნული მიზეზების გამო. პროგრამის უკანასკნელი რესტრუქტურიზაცია მოიცავს: - სტუდენტების მოქნილობის უზრუნველყოფას სასწავლო კურსების შერჩევისას მათი ინტერესებისა და წინა გამოცდილების შესაბამისად. ამ კონტექსტში რამდენიმე სავალდებულო კურსი გახდა არჩევითი (მაგ. *პროფესორის ასისტირება* (წინა საუნივერსიტეტო სწავლების გამოცდილების მქონე სტუდენტებს არ მოეთხოვებათ კურსის გავლა), *ტექსტის მითითება და თარგმნა, მეცნიერებათა ფილოსოფია* და ა.შ.) - *რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის* კურსების კრედიტების გაზრდა 5-დან 10 კრედიტამდე - ორი ახალი არჩევითი კურსის დამატება, რომლებიც ასახავენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს: *აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის* (ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ნაშრომების წარმოების უნარის გასაუმჯობესებლად) და *ელექტრონული სწავლის მენეჯმენტის სისტემებისთვის* (IT უნარების გაუმჯობესება). - სტუდენტებისთვის პროგრამის განმავლობაში გარკვეული სასწავლო მოდულის აღებისას მოქნილობა (პირველი წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული). ამრიგად, პროგრამა მოიცავს 60 ECTS სასწავლო კომპონენტს, რომელიც შედგება სავალდებულო კურსებისა (45 კრედიტი) და არჩევითი კურსებისაგან (შეთავაზებული 35 კრედიტიდან 15-ის არჩევა), ხოლო კვლევითი კომპონენტი შეადგენს 120 კრედიტს. სავალდებულო სწავლის კომპონენტი მოიცავს ძირითად კურსებს, რომლებიც ეხება კვლევის უნარების განვითარებას [”*რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები*”

(10 ECTS თითოეული), *"სპეციალიზაციის მოდული ბიზნესის ადმინისტრირებაში"* (10 ECTS)], უმაღლესი განათლების სწავლების შესაძლებლობები [*"თანამედროვე სწავლების შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში"* (5 ECTS) და ტრანსფერული უნარები [*"კვლევითი პროექტების მომზადება და მართვა*" (10 ECTS)].

სასწავლო კომპონენტის უდიდესი ნაწილი (10 კურსიდან 8) უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების მიერ არის შემოთავაზებული; შესაბამისად, ეს პირდაპირ არ არის ორიენტირებული ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების ფაკულტეტის სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი საგანი ზოგადია (მაგ. *"სწავლების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში", "პროფესორის ასისტირება"*) და შეიძლება გამოდგეს ყველა დოქტორანტისათვის კვლევის დარგის მიუხედავად, დანარჩენები უფრო მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებულნი პროგრამის პროფილზე. მაგალითად, „*თვისებრივი კვლევის მეთოდებს*" გთავაზობს გამორჩეული მეცნიერი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, მაგრამ იგი მკაცრად არის ორიენტირებული ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე, და არა ბიზნესზე (დეტალები სექციაში 2.3). ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული კურსი *"ტექსტის მითითება და თარგმნა"* უფრო მეტად ორიენტირებულია ლინგვისტიკაზე და არ ამართლებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტის 10-კრედიტიან დატვირთვას. ასევე უნდა მოხდეს კურსების განხილვა, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სკოლის მიერ არის შემოთავაზებული, რათა ისინი შეესაბამებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებს.

ამ პროგრამა მიიღებდა სარგებელს, თუ ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებათა ფაკულტეტი მოიპოვებდა პროგრამის სწავლების ნაწილზე "ფლობას", თუმცა ეს შეამცირებს ეკონომიკის მასშტაბს. რა თქმა უნდა, გარკვეული ზოგადი საგნებით სწავლება შესაძლებელია სხვა ფაკულტეტების მიერ, გამოცდილებიდან გამომდინარე.

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის დამახასიათებელი პერიოდია 3 წელი (6 სემესტრი), როგორც ევროპის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების უმრავლესობისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის მიერ დადგენილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სტუდენტთა უმრავლესობა სამომავლოდ დებს პროგრამის კვლევით ნაწილს - სადოქტორო დისერტაციის დასრულებას. კვლევის კომპონენტის გადადებამ შეიძლება არახელსაყრელი გავლენა იქონიოს კვლევის ხარისხზე (ე.წ. საგნის აქტუალობა, მოძველებული მონაცემები, უახლესი მიღწევები და ა.შ.). როგორც ასეთი, იგი უნდა განხორციელდეს კონტროლირებადი გზით ისე, რომ სტუდენტური მოქნილობა ზიანს არ აყენებდეს კვლევის ხარისხს.

დოქტორანტები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ 2 სამეცნიერო სტატია, აგრეთვე მოხსენებით გამოვიდნენ მინიმუმ 1 კონფერენციაზე დისერტაციის დაცვამდე. ერთ-ერთი სტატია უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი დარგის უცხოურ რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში (ონლაინ ან / და ბეჭდური ჟურნალი), ან საზღვარგარეთ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის მასალებში, თუ აღნიშნული ჟურნალი

შედის აღიარებული სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზაში. მეორე სტატიას შეიძლება ჰქონდეს რედაქტორებისგან ნებისმიერ რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებაზე თანხმობა.

დისერტაციის დაცვისთვის ზემოაღნიშნული აუცილებელი წინაპირობა ნამდვილად მოწონებულია ექსპერტთა გუნდის მიერ. პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ ასეთი პუბლიკაციების განხილვის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ერთ შემთხვევაში ეს მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული უცხოეთში გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალთან დაკავშირებით. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს წინაპირობების ადმინისტრირება და მიზანშეწონილია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები ან საერთაშორისო კონფერენციები გამოირიცხოს.

დოქტორის ხარისხის მფლობელისათვის, შრომის ბაზრის კვლევის თანახმად, (მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში), ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელი მოთხოვნაა. ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთი გზაა ორი ნაშრომის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა. ამავე დროს, ახლად შემოღებული კურსი *"აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის"* უნდა იქნას მიწოდებული ინგლისურად.

შრომის ბაზრის კვლევა ასევე აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია ICT უნარების განვითარება. ამისათვის მოხდა პროგრამის გადახედვა, რათა შეიცავდეს კურსს *„ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის სისტემები“*, რომელიც მიმართულია განათლებაში IT უნარებზე. ასევე, უნდა გათვალისწინოთ კვლევისათვის გარდამავალი IT უნარების განვითარება (მაგ. რაოდენობრივი კვლევა მონაცემთა მეცნიერებისთვის ან თვისობრივი მონაცემების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა).

დისერტაციები იწერება ქართულ ენაზე, ხოლო სრული აბსტრაქტი წარდგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. ეს, დროთა განმავლობაში, დაეხმარება დოქტორანტებს დახვეწონ მათი ინგლისური ენის უნარები და წაახალისებს მათი კვლევის შედეგების დისემინაციას, რაც თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, წარმოადგენს გასაუმჯობესებელ სფეროს.

დისერტაციის დაცვა საჯაროა. დაცვის პროცესი მოიცავს სადოქტორო დისერტაციის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო კომისიის დასკვნას (შეფასებას). დაცვის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

პროგრამის სტრუქტურა გამოქვეყნებულია პროგრამის ვებ – გვერდზე, თუმცა ის მოძველებულია და საჭიროებს განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამის აღწერა და სილაბუსები
- პროგრამის დირექტორებთან და ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები.

- პროგრამის შედეგების მატრიცა

რეკომენდაციები:

- ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უნდა მოიპოვოს "საკუთრება" პროგრამის სასწავლო კომპონენტზე. სხვა სკოლების მიერ შემოთავაზებული კურსები უნდა იქნას გადახედილი და მოყვანილი შესაბამისობაში ბიზნესის ადმინისტრირებაში სადოქტორო პროგრამის პროფილთან.
- განაახლეთ პროგრამის აღწერილობის დოკუმენტები, მათ შორის, დაშვების კრიტერიუმები, კურსის სტრუქტურა, სწავლის შედეგები შესაბამის ვებ – გვერდებზე.
- IT უნარები კვლევისათვის (მაგ. მონაცემთა მეცნიერება რაოდენობრივი კვლევისთვის ან თვისობრივი მონაცემების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა) ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესებაში, რადგან ისინი, დამსაქმებელთა მოთხოვნით, დოქტორანტებისათვის დადგინდა პრიორიტეტებად.
- მოითხოვეთ ორი ნაშრომის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს ინგლისურენოვანი უნარების განვითარებაში და, ამავე დროს, გაზარდოთ კვლევის შედეგების დისემინაცია.
- საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები ან საერთაშორისო კონფერენციები არ უნდა ჩაითვალოს დისერტაციის დაცვის წინაპირობების შესრულებად.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- ფაკულტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტების მიერ დისერტაციის მომზადება ინგლისურ ენაზე. ეს ხელს შეუწყობს დოქტორანტთა ინგლისური ენის ცოდნის გაძლიერებას, გაზრდის პროგრამის ინტერნაციონალიზაციასა და მისი კვლევის შედეგებს.
- გაზარდეთ დაინტერესებული მხარეთა ჩართულობა დამსაქმებლების სათანადო შერჩევით ორგანიზაციებიდან, რომლებიც ასოცირებულები არიან კვლევის საკითხებთან ბიზნესისა და ეკონომიკის დარგში და / ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
- განიხილეთ იმის შესაძლებლობა, რომ სტუდენტებმა გაიარონ კურსები სხვა უნივერსიტეტებში ან სადოქტორო საზაფხულო სკოლებში საზღვარგარეთ, თუ ეს შეესაბამება მათი დისერტაციის პროფილს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐მ ე ტწ ი ლ ბ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

2.3 სასწავლო კურსი
➢ თითოეულო ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული კურსისათვის შემუშავებულია დეტალური საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითოეული სილაბუსი მოიცავს: კურსის მიზნებს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, შინაარსის დეტალურ აღწერას კვირის ჭრილში, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითოეული კომპონენტისათვის, ისევე, როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის აკადემიური მოსწრების დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს, ასევე რეკომენდებულ ლიტერატურას. იმის გამო, რომ კურსები შეთავაზებულია სხვადასხვა ფაკულტეტების მიერ, სწავლის შედეგები ნაჩვენებია სხვადასხვა ფორმატითა და ანალიზის დონით; უმეტეს შემთხვევაში, ისინი დაყოფილია ცოდნისა და გააზრების უნარების, ასევე პასუხისმგებლობისა და ავტონომიის სფეროებად. ,,სწავლის შედეგების რუქა" ასახავს, თუ რომელი კურსი ან პროგრამის კომპონენტი გაიყვანს სტუდენტს თითოეულ სწავლის შედეგზე. კურსები არაა განაწილებული სემესტრების მიხედვით და წინაპირობებიც არის დადგენილი. აკადემიური პერსონალის და სტუდენტების აზრით, ეს არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან კურსებს შორის არაა თანმიმდევრული დამოკიდებულება და სტუდენტები სწავლობენ მოქნილი პროგრამით. ზოგადად, კურსის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ზოგიერთი შემთხვევა საჭიროებს ყურადღებას, რადგან შესაბამისი სწავლის შედეგები და/ან შინაარსი არ არის მკაფიოდ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. მაგალითად: - *”კვლევის ხარისხობრივი მეთოდები”.* სწავლის ზოგიერთი შედეგი (მაგ., სოციოლოგიაში პოზიტივიზმის ალტერნატივის თავისებურებები და ნორმატიული და ინტერპრეტაციული პარადიგმების ახალი მიდგომების მახასიათებლები გაგებულია

ინტერდისციპლინურ კონტექსტში), შინაარსი და ბიბლიოგრაფიის ორიენტაცია (სათაურები მოიცავს კვლევის მეთოდებს სოციოლოგიურ მეცნიერებებში, კვლევის მეთოდებს განათლებაში, სახელმძღვანელოს სოციალურ მეცნიერებათა სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის, მაგრამ აკლია ხარისხობრივი კვლევა ბიზნესსა და მენეჯმენტში).

- ”ტექსტის მითითება და თარგმნა” კიდევ ერთი მაგალითია, სადაც შინაარსობრივი ნაწილი შეიძლება იყოს გამოსადეგი აკადემიური წერის უნარის განვითარების ელემენტად, მაგრამ სრული 10 – კრედიტიანი კურსი ლინგვისტიკის სფეროში, არ არის გამართლებული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
- ”სპეციალიზაციის მოდული ბიზნესის ადმინისტრირებაში”. სწავლის შედეგები მიზნად ისახავს სისტემურ ცოდნას ბიზნესის მენეჯმენტის უახლესი მიღწევების შესახებ, თუმცა შინაარსი მკაცრად ფოკუსირდება ფინანსურ სფეროზე (14 სესიიდან 9), როცა 2 სესია ეძღვნება ეკონომიკას და 3 - მენეჯმენტს). შემოთავაზებული ლიტერატურა მოიცავს წიგნებს, რომლებიც შესაფერისია მაგისტრატურისათვის, თუმცა სათაურისა და კურსის მიზნების შესაბამისად, იგი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს. მიუხედავად ამისა, პროგრამის ადმინისტრაციამ უნდა განიხილოს ალტერნატიული გზები, რათა ეს სემინარზე დაფუძნებული კურსი ორიენტირებული იყოს, უშუალოდ თითოეული კანდიდატის დისერტაციის თემის სფეროზე იმისათვის, რომ უკეთ შეძლოს სტუდენტთა ორიენტაცია და მომზადება პროგრამის კვლევითი ნაწილისთვის. სწავლის შედეგები შეიძლება იყოს უფრო თანმიმდევრული (მაგ., კომპაქტური გახდეს ყველა მითითება *შეაფასებაზე, კრიტიკულად გაანალიზებაზე, სინთეზზე…*), ხოლო ზოგიერთი, რომლებიც ეხება წინა ცოდნას, უნდა გადაიხედოს. *(მაგ. გაანალიზეთ საჭირო ფინანსური ინფორმაცია, რომ გააკეთოთ სწორი ინვესტიცია, ეკონომიკის ძირითადი ცნებები და კანონზომიერებები).*

სილაბუსებში ჩამოთვლილი ლიტერატურა განახლებულია, იგი მეტწილად ინგლისურენოვანია, კარგადაა ორგანიზებული და წარმოდგენილი, მაგრამ შემოფარგლულია მხოლოდ წიგნებით და უმეტესწილად არ შეიცავს დამატებით საკითხავ მასალას, სამეცნიერო სტატიებს და ვებ-მასალებს.

პროგრამის სილაბუსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროგრამის ვებ-გვერდებზე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პროგრამა და სულაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- კურსი "*კვლევის ხარისხობრივი მეთოდები*" უნდა იყოს ადაპტირებული ბიზნესში კვლევის მეთოდოლოგიების მისაღწევად, ხარისხობრივ ტექნიკაზე აქცენტირებით,

და გაუმჯობესდეს ინფორმაციული სისტემის დახმარებით ხარისხობრივი ანალიზისათვის. ○ ამ პროგრამის ფარგლებში უნდა შეინარჩუნოთ სასწავლო კურსი - "ტექსტის მითითება და თარგმნა" , რომელიც დაკავშირებულია აკადემიური წერის უნარების გამომუშავებასთან დოქტორანტებისთვის. კურსის დატვირთვის შემცირება 5 კრედიტამდე, გამოათავისუფლებს ადგილს პროგრამის პროფილთან დაკავშირებული კურსების შესათავაზებლად. ○ "ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალიზაციის მოდულის" სწავლის შედეგები უნდა იყოს გამოხატული ისე, რომ კურსი მოერგოს დოქტორანტების კონკრეტულ სამეცნიერო პროფილს(ებს).
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა აქცენტირებულია დოქტორანტის სამეცნიერო/ კვლევითი/ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. "პროფესორის ასისტირება" მიზნად ისახავს პრაქტიკული სწავლების უნარების განვითარებას და მას მხარს უჭერს კურსები "თანამედროვე სწავლების შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში" და "ელექტრონული სწავლების მენეჯმენტის

სისტემები". დოქტორანტები მონაწილეობენ ლექციების და სემინარების თემების შემუშავებაში, პროფესორის / მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ ლექციების დამოუკიდებლად ჩატარებაში და შეფასებას იღებენ (მენტორის / ხელმძღვანელის მიერ) დამოუკიდებლად მიწოდებულ ლექციებში, აგრეთვე ლექციების ანალიზისა და შეფასების მომზადებაში.

დოქტორანტები ატარებენ სემინარებსა და ლექციებს „Start-up საწარმოს"- საუნივერსიტეტო დაწესებულების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს მეწარმეობის, აგრეთვე პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებში, და ეხმარება ქვედა დონის სტუდენტებს ბიზნესის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ რეალურ პრობლემებზე მუშაობაში "ტექნოლოგიების გადაცემის" პროგრამის ფარგლებში.

ზოგადად, სტუდენტებს გააჩნიათ მრავალი შესაძლებლობა უმაღლესი განათლების სწავლების პროცესის დროს.

სტუდენტები იძენენ ტრანსფერულ უნარებს კვლევითი პროექტების მენეჯმენტსა და რაოდენობრივ ანალიზში შესაბამისი კურსების მეშვეობით, რომლებიც ღირებულია მათი, როგორც მკვლევარების, კარიერისთვის.

სამეცნიერო / კვლევითი უნარების განვითარება იწყება კურსებით ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესახებ და გრძელდება სტუდენტების ჩართულობით მათი ზედამხედველობით ჩატარებულ კვლევებში, და მთავრდება მათი დისერტაციის დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა კვლევის შესაძლებლობები შეფასდეს არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში, არამედ სტუდენტების მიერ იმ წინაპირობის დაკმაყოფილებით, რაც გულისხმობს ორ სამეცნიერო პუბლიკაციას საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN, საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), რომელთაგან ერთი უნდა იყოს Scopus ან Web of Science მონაცემთა ბაზების ინდექსირებულ მასალებში.

საექსპერტო ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გადაეხდა პროგრამის ოთხი (4) კურსდამთავრებულის სადოქტორო დისერტაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი ნაშრომების შეფასება შეუძლებელია ადგილზე ვიზიტის შეზღუდული დროის გამო, მიუხედავად ამისა, დისერტაციები ზოგადად შესაბამისობაში იყო საერთაშორისო სტანდარტებთან, ერთ-ერთი მათგანი (ერთობლივად ხელმძღვანელობდა საქართველოს უნივერსიტეტი და უელსის უნივერსიტეტი) გამოირჩეოდა მისი ხარისხით.

ამჟამად, კვლევის თემების უმეტესი ნაწილი გამომდინარეობს აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესებიდან; არც ერთი კვლევითი პროგრამა არ დაფინანსებულა „გარედან". პროგრამამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით, საერთაშორისო ან ეროვნული დონეზე თანამშრომლობით სხვა უნივერსიტეტებთან, სააგენტოებთან, ორგანიზაციებთან. დაინტერესებული მხარეების შერჩევის შესახებ რეკომენდაციები შესაძლოა დაეხმაროს პროგრამას. როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები მიიღებენ სარგებელს, ხოლო პროგრამა მოიპოვებს მეტ აღიარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ აკადემიური პროგრამა და სულაბუსები; ○ კურსდამთავრებულთა სადოქტორო დისერტაციების მიმოხილვა ○ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ○ ინტერვიუები პროგრამის დირექტორთან, დოქტორანტთა ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ შეიმუშავეთ ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების მოზიდვის სტრატეგია.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მკაფიოდაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/კონცეფციაში. მეთოდები არჩეულია დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. როგორც სადოქტორო პროგრამისაგან იყო მოსალოდნელი, პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ინტენსიურ სასემინარო სწავლებას და პრაქტიკულ ასისტენტობას. თვითშეფასების ანგარიშისა და კურსის სილაბუსის თანახმად, სასწავლო შედეგების მიღწევის მეთოდებია: ლექციები - სემინარები, განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები სალექციო პროცესში სტუდენტების ჩართულობით, დისკუსიები, რომლებშიც სტუდენტებს იწვევენ კამათში, არგუმენტაციასა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებაში, გუნდური მუშაობა,

ქეისების შესწავლა, პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლა (PBL), ქმედებაზე დაფუძნებული სწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლა და ა.შ. ინტერვიუირებულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს კმაყოფილება სწავლის განმავლობაში შეძენილი სწავლისა და სწავლების გამოცდილების თაობაზე. მთელი სასწავლო პროცესის ძალიან კარგად კონტროლირდება, რადგან სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი კონკრეტული დავალებები, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკა და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ კურსის სილაბუსები ○ პროგრამის დირექტორთან ინტერვიუ ○ გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. იგი ემყარება შეძენილი ცოდნის მუდმივი შეფასების პრინციპს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის გათვალისწინებით, სტუდენტების შეფასება ემყარება მათ დასწრებას მეცადინეობებზე და მოსწრებას სემესტრის განმავლობაში, რამდენიმე შუალედურ დავალებას (პრეზენტაციების, პროექტების, წერითი დავალებების, შუალედური გამოცდების და ა.შ. ფორმით) და მათი საბოლოო შეფასების ნიშნებს.

ნიშნების განაწილება სხვადასხვა დავალებებზე დამოკიდებულია კურსის ხასიათზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მკაფიო რუბრიკა მოცემულია კურსის სილაბუსში.

შეფასებების სქემა ჩამოყალიბებულია საქართველოში უმაღლესი განათლების რეგულაციების შესაბამისად, რომლის თანახმადაც სტუდენტს კურსი ჩაბარებულად ეთვლება, თუკი ყველა მეთოდითა შეფასებით აგროვებს მთლიანი ქულების 50%-ზე მეტს.

შეფასების სქემა ითვალისწინებს სტუდენტთა საერთო მოსწრებას, იგი გამჭვირვალეა - სპეციფიკა დეტალურადაა განმარტებული ყველა კურსის სილაბუსში და შეესაბამება საქართველოში მოქმედ უმაღლესი განათლების რეგულაციებს. თუმცა, სადოქტორო პროგრამისათვის, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისაგან სრულყოფილებისადმი თავდადებას, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დადგენილი დამატებითი, უფრო მაღალი დონის მოთხოვნები, ვიდრე ზოგადი რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების მინიმალური დონეა. მაგალითად, უფრო მაღალი ბარიერი შუალედური შეფასებისათვის, გამოცდაზე განმეორებით გასვლის შეზღუდვა (FX), საშუალო ნიშნების შენარჩუნება მინიმუმ "კარგის" ან შესაძლოა "ძალიან კარგის" დონეზე, მიუთითებს კანდიდატებს და დაინტერესებულ მხარეებს, რომ პროგრამა ისწრაფვის სრულყოფილებისათვის.

სამეცნიერო კომპონენტი ფასდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დროს დისერტაციისთვის შექმნილი სადოქტორო საბჭოს მიერ, რომელის შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდეს გარე აკადემიური პერსონალი. რეგულაცია, რომელიც ეხება 2 სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებასა და კონფერენციაზე პრეზენტაციას, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა, აძლიერებს სადისერტაციო კვლევის შეფასებას და, როგორც ასეთი, კომენტირებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სიახლეების უმეტესობა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ქვეყნდება ინგლისურ ენაზე, უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს მოთხოვნები ორი სტატიიდან მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ინგლისურენოვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთა ჩამონათვალი უნდა შეიქმნას, რადგანაც ყველა ინდექსირებული ჟურნალი ან / და კონფერენცია არ არის მსგავსი სამეცნიერო ხარისხის მქონე. ასევე, მიზანშეწონილია მოთხოვნის დაწესება, რომ ზემოხსენებული პუბლიკაციები იყოს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის/ კომპონენტების შეფასება ხდება შემდეგი სისტემით: სადისერტაციო კომიტეტის მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალობის დაცვით, 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით. არასაკმარისი შეფასების მიღების შემთხვევაში (41-50 / ვერ ჩააბარა) დოქტორანტს ეძლევა სადისერტაციო ნაშრომის განახლებული ვერსიის წარდგენის უფლება. სრულიად არასაკმარისი შეფასების (40 და ნაკლები) შემთხვევაში კი, სტუდენტს არ ეძლევა იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად; იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას.

საერთო ჯამში, შეფასების პროცესი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტისათვის სრულიად გამჭვირვალეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ კურსის სილაბუსები ○ პროგრამის აღწერილობა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: ○ ჩამოაყალიბეთ მოთხოვნები ორი სტატიიდან მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ინგლისურენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალის შექმნით, რადგანაც ყველა ინდექსირებული ჟურნალები ან / და კონფერენცია არ არის მსგავსი სამეცნიერო ხარისხის.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს დოქტორანტების აკადემიური მოსწრების სტანდარტების ამაღლება ეროვნული რეგულაციების მიერ მოთხოვნილზე მეტად, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ზოგადად, მინიმალურ დასაშვებ მოსწრებას მაშინ, როდესაც დოქტორანტები უნდა მიისწრაფოდნენ სრულყოფილებისაკენ.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში ○ წინაპირობა, რომ გამოქვეყნებული იქნეს 2 სამეცნიერო ნაშრომი დისერტაციის დაცვამდე, აძლიერებს დისერტაციის შეფასებას.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აცნობს სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს, ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას ინტერვიუებზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა ხელშეწყობისათვის აუცილებელი ყველა მომსახურება უნივერსიტეტში ხორციელდება. სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საათები. სტუდენტებმა ეს დაადასტურეს ინტერვიუებზე. "MyUG" პლატფორმის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ყველა ინფორმაციას სასწავლო და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის შესახებ, ხოლო დოქტორანტს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია პროგრამის პერსონალისგან და უშუალოდ პროგრამის დირექტორისგან, როგორც აკადემიური, ასევე პროგრამის ორგანიზაციული საკითხების თაობაზე. ხელმძღვანელები/თანახელმძღვანელები/კოორდინატორები პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის პროგრამის კურიკულუმის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებაზე. სწავლის პროფილის განსაზღვრისას, დოქტორანტს შეუძლია ხელმძღვანელისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებიდან

მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწრების გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტიდან სტუდენტები იღებენ ფინანსურ დახმარებას შემცირებული სწავლის საფასურის ფორით, კვლევასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად (სფეროს კვლევა, მასალა, გამოწერა, პუბლიკაციების საფასური და ა.შ.). კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები 1000 ლარის ოდენობით იქვითება მათი წლიური სწავლის გადასახადიდან (3000 ლარი).

უნივერსიტეტი აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალის "სოციალური მეცნიერებების კავკასიური ჟურნალი", რომელშიც საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრანტს / დოქტორანტს შეუძლია გამოაქვეყნოს სტატიები უფასოდ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ასევე უზრუნველყოფს გრანტებს / დაფინანსებას დოქტორანტებისთვის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და სამეცნიერო სტატიების გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით გაერთიანებებში, ასევე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ამასთან მსგავსი შემთხვევების არსებობის შესახებ არ განუცხადებიათ, რადგან პროგრამის სტუდენტთა უმეტესობა დასაქმებულია. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაზრდელად ფაკულტეტმა უნდა მიმართოს ძალისხმევას მოკლევადიანი „საზაფხულო სკოლების“ იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია დოქტორანტებისათვის და არის ორგანიზებული ევროპული და სხვა უნივერსიტეტების მიერ, ERASMUS + პროგრამის ფარგლებში, ან დამოუკიდებლად.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ.

სტუდენტთა დასაქმების მხარდაჭერის სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებას. კარიერული მომსახურების თვალსაზრისით, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ხელმისაწვდომია სისტემატური ტრენინგ-სესიები, დასაქმების ფორუმები, ინდივიდუალური კონსულტაციები, ექსკლუზიური სიახლეები მიმდინარე ვაკანსიების შესახებ და სხვა ღონისძიებები.

მიმდინარე წლიდან უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიარიზმის გამოვლენის პროგრამა (Turnitin).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: ○ ფაკულტეტმა უნდა გაწიოს ძალისხმევა დოქტორანტთა ინტერნაციონალიზაციის გასაზრდელად. მაგალითად, ევროპისა და სხვა უნივერსიტეტების მიერ ERASMUS + პროგრამის ფარგლებში ან დამოუკიდებლად შემოთავაზებული მოკლევადიანი „საზაფხულო სკოლები“ დოქტორანტებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა შემცირებული სწავლის საფასურის ფორმით, კვლევასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად (სფეროს გამოკვლევა, მასალა, გამოწერა, პუბლიკაციების საფასური და ა.შ.).
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ კუთხით პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. სტუდენტები იღებენ კონსულტაციას პროგრამის დირექტორისა და პოტენციური ხელმძღვანელებისაგან მანამ, სანამ ჩაერთვებიან კვლევის თემისა და კონცეფციის ჩანაწერის ფორმირებაში. ჩარიცხვისას ყველა დოქტორანტისთვის გამოიყოფა კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი, რომელთაც აქვთ დისერტაციის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ამავდროულად, სადისერტაციო საბჭო იქმნება ინდივიდუალურად თითოეული სტუდენტისთვის. თუ კვლევის თემა მოითხოვს

დამატებით ექსპერტიზას, გამოიყოფა თანახელმძღვანელი და თუ ფაკულტეტზე ამგვარი გამოცდილების სპეციალისტი არ არის ხელმისაწვდომი, ხდება პერსონალის მოწვევა. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (დოქტორანტურის დებულება) დეტალურადაა აღწერილი დოქტორანტურის პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური თვალსაზრისით. ხელმძღვანელები რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. დოქტორანტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ კურიკულუმს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დირექტორთან (ებთან) შეთანხმებით. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კვალიფიციური ხელმძღვანელობით კმაყოფილება და აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად შეუძლიათ კონსულტაციისა და დახმარების მიღება ხელმძღვანელებისაგან, როგორც მათთან ფორმალური თუ არაფორმალური კომუნიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ები ○ საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ # 62/19) ○ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დაცული დისერტაციები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეესაბამება საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული და აკადემიური გამოცდილებით, მათი უწყვეტი და უახლესი სამეცნიერო საქმიანობით. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები ფლობენ სფეროს უახლეს ცოდნას და არიან იმ სადოქტორო დისერტაციებისთვის რელევანტური სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორები, რომელთაც ხელმძღვანელობენ. კვლევის შედეგი განსხვავდება აკადემიური პერსონალის წევრთა შორის. ზოგიერთს აქვს პუბლიკაციების ფართო ნუსხა, თუმცა მათი კვლევის შედეგების წარმოჩენა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში და ციტირება არ არის პუბლიკაციების მოცულობის ანალოგიური. აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში

ნაშრომის გამოქვეყნებაზე. მოსალოდნელია, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ მიმართულებით.

სადოქტორო პროგრამას ახორციელებს 20 აკადემიური პერსონალი (8 პროფესორი და 12 ასოცირებული პროფესორი) ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერების ფაკულტეტიდან, ისევე, როგორც სხვა უნივერსიტეტიდან. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (18) აფილირებულია უნივერსიტეტთან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

დოქტორანტთა რაოდენობა ხელმძღვანელი აკადემიური პერსონალის რაოდენობის შესაბამისია. აკადემიური პერსონალის უმეტესობისთვის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა არ აღემატება 3-ს, მათ შორის არიან დოქტორანტებიც, რომლებმაც სწავლა შეაჩერეს. თუმცა, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული დოქტორანტების (აქტიური და შეჩერებული) რიცხვი 10-ზე მეტია. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება გამართლდეს პერსონალის ზოგიერთი წევრის ექსპერტიზითა და გამოცდილებით, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ზედამხედველობითი სამუშაოები იყოს უფრო დაბალანსებული და არ მოხდეს მათი გადატვირთვა. მიუხედავად ამისა, ეს პირდაპირ კავშირშია ხელმძღვანელობის ხარისხთან და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგთან.

აკადემიურ პერსონალს სტუდენტებისთვის განსაზღვრული აქვს საკონსულტაციო საათები. საკონსულტაციო საათების გრაფიკი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისიდან.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის ძალიან მცოდნე, გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანი. იგი ერთგულია და პირადად მონაწილეობს პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე.

ადმინისტრაციული დახმარება უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალის მიერ ფაკულტეტზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, დოქტორანტთა ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები

რეკომენდაციები:

- აკადემიურმა პერსონალმა ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს სამეცნიერო ნაშრომების ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში პუბლიკაცია, რომელიც

ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, რათა გაიზარდოს კვლევის შედეგების საერთაშორისო მასშტაბით მიწოდება.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ ყურადღება უნდა მიექცეს დოქტორანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ზედმეტი დატვირთვის თავიდან აცილებას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნ ა წ ი ლობ რ ი ვ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი ა მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ ☐ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ობ ა შ ი მ ოთხ ოვ ნ ე ბ თა ნ

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალის შეფასებას ახორციელებს პერსონალის შეფასების კომიტეტი, რომელიც შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისგან. მუდმივი წევრები არიან უნივერსიტეტის რექტორი, სკოლის დირექტორი, შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი / ინსტიტუტის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლები. პერსონალის შეფასების კომისიის სპეციალური წევრები მოწვეულნი არიან უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და თანამშრომელს აწვდის უკუკავშირს. აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს მათი სწავლების, კვლევისა და სხვა სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. სემესტრული გამოკითხვების მეშვეობით სტუდენტების მიერ, ასევე, ფასდება აკადემიური საქმიანობა ყოველი კურსის ჭრილში. უნივერსიტეტის თანამშრომლის მუშაობის შედეგები გამოიყენება მისი პროფესიული განვითარების გეგმის, ტრენინგის დაგეგმვის, დაწინაურების / ჩამოქვეითების, ხელფასის კორექტირების, როტაციის, მოტივაციისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. შეფასების პროცესის შემდგომი გაუმჯობესება

შესაძლებელია, თუ აკადემიური პერსონალი, სამუშაოს შესრულების ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად წარადგენს პერსონალური განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს დაგეგმილ აქტივობებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსებას კვლევის უკეთ წარმართვის, სასწავლო პროცესში კვლევის ინტეგრირებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- ჯილდოებს თანამშრომლებისთვის, სტატიების გამოქვეყნებას რეფერირებად ჟურნალში
- სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის, კვლევითი მივლინებების დაფინანსებას.
- სამეცნიერო ჟურნალის "სოციალური მეცნიერებების კავკასიის ჟურნალი" გამოცემას.
- პროექტს "სამეცნიერო ოთხშაბათი", რომლის მიზანი აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობაა.
- ხარისხის უზრუნველყოფის პროფესიონალების სემინარს, რომელიც ორგანიზებულია AACSB (მოწინავე ბიზნეს სკოლების ასოციაცია) საერთაშორისო ასოციაციის მიერ.
- ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონაწილეობას პროექტში: აკადემიური სწავლის თანამედროვე კომპეტენციები (MOCAT), რომელიც უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის საშუალებით მიზნად ისახავს სწავლების მეთოდოლოგიის სფეროში აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენების ხელშეწყობას.
- ბიზნესისა და ადმინისტრაციული მეცნიერებების ფაკულტეტის პერსონალის მონაწილეობას ევროკავშირის Erasmus KA2 პროგრამის (STAR) ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა პროფესიონალურ განვითარებას ინოვაციური პედაგოგიკის მიდგომების სფეროში.
- ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობას მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ”EduCoP"-ის ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგებში: განათლება შესაძლებლობისთვის: უნივერსიტეტების ხელშეწყობა აკადემიური წარმატების მიღწევაში
- სხვა ტრენინგები საერთაშორისო პროფესიონალების მონაწილეობით აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და დოქტორანტებისათვის (მაგ. "პროექტის ციკლის მენეჯმენტი (PCM)")

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესი, ყოველწლიურად მოკლევადიანი განვითარების გეგმის წარდგენის მოთხოვნის შემოღებით, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ქმედებებსა და აქტივობებს, განსახორციელებელს 1-3 წლის განმავლობაში. გეგმების განახლება შესაძლოა ყოველწლიურად, დამტკიცდეს ადმინისტრაციის მიერ, ხოლო შეფასება შეიძლება დაუკავშირდეს რეალიზაციის ხარისხს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები თანამედროვეა და ძალიან კარგ მდგომარეობაშია. მცირე და დიდი ჯგუფების სამუშაო აუდიტორიები და საკლასო ოთახები სათანადოდ არის აღჭურვილი, ხელმისაწვდომია სტუდენტთა სივრცე დამოუკიდებლად მუშაობისთვის, ხოლო ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაცული სერვისების ოფისები არის კომფორტული და ფუნქციური. საერთო ჯამში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნას პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალის ყველა წევრისთვის, რის მეშვეობითაც მათთვის ხელმისაწვდომია ბოლოდროინდელი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. უნივერსიტეტის კომპიუტერებიდან სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ ონ-ლაინ

ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაზე წვდომა. კამპუსის გარედან დაშვება ხდება სტუდენტების საიდენტიფიკაციო ნომრების საშუალებით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბიბლიოთეკამ უნდა შეიძინოს ელექტრონული წიგნები ბიზნესის და ეკონომიკის სფეროში, რათა დოქტორანტების წვდომა ბიბლიოთეკის მასალებზე გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს.

IT სერვისებში შედის ინტერნეტზე წვდომა, "MyUG" პლატფორმა, რომელიც შეიცავს სილაბუსებს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლის საშუალებითაც სტუდენტები იღებენ აკადემიური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას, უკავშირდებიან ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. პლატფორმა, ასევე, საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და არსებული პრობლემები.

სტუდენტებს აქვთ წვდომა პროგრამა SPSS-თან სტატისტიკური ანალიზისთვის, თუმცა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი პროგრამების სია უნდა გაფართოვდეს და შეიცავდეს სხვა პროგრამულ ინსტრუმენტებსაც, რომლებიც შეიძლება დაჭირდეთ დოქტორანტებს (მაგ. Eviews econometric s/w, Qualitative analysis s/w, Data Mining s/w). პროგრამის ადმინისტრაციამ დოქტორანტთა ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უნდა შექმნას პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ სადოქტორო კვლევაში.

უნივერსიტეტის შიგნით არსებული „სტარტაპ ქარხანა", ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლასთან თანამშრომლობით, იძლევა კონსულტაციების შესაძლებლობას დამწყები ბიზნესებისთვის იდეიდან მის განხორციელებამდე, უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას ტექნოლოგიურ ტრანსფერულ საქმიანობაში, იწვევს ლექტორებს სალექციო თემატიკიდან გამომდინარე და ატარებს სემინარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები და აღჭურვილობა
- ბიბლიოთეკართან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამების (software) მატერიალური ბაზა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას უფრო მეტი პროგრამული ინსტრუმენტი, რომლებიც დოქტორანტებს შეიძლება კვლევისათვის დასჭირდეთ .

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

○ გასათვალისწინებელია, რომ ბიბლიოთეკამ შეიძინოს ელექტრონული წიგნები ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის განხორციელება ფინანსურად მდგრადია. ადმინისტრაციის ფინანსური გაანგარიშებიდან გამომდინარე, საოპერაციო ხარჯებისთვის ნულოვანი მოგების წერტილია წელიწადში 2 სტუდენტი (სულ 6 სტუდენტი), მაშინ, როდესაც მიმდინარე საშუალო ჩარიცხვა წელიწადში 6 სტუდენტია, ხოლო აქტიური სტუდენტია 18. ბიუჯეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა კონფერენციის ან პუბლიკაციის ხარჯებს, წლიურად 1000 ლარს, უნივერსიტეტის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლის 5%-ს, ხოლო ყველა საუნივერსიტეტო მომსახურებების დაფარვისთვის - საბიუჯეტო ხარჯების 20%-ს (განსხვავდება სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით). ექსპერტთა გუნდის პოზიციაა, რომ გარდა ფინანსური მდგრადობისა, სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის ფასეულობას, რადგან იგი ხელს უწყობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს კვლევის მიმართულებით (ჩარიცხული სტუდენტების 1/3 არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

○ თვითშეფასების ანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ გაზარდეთ ბიუჯეტი სამეცნიერო /კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად. ○ გამოიყენეთ დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები საერთაშორისო და ეროვნული განვითარებისა და კვლევითი გრანტებიდან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		☒		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. შესაბამისი მონაცემები რეგულარულად გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესამუშავებლად.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს როგორც უნივერსიტეტში, ასევე ფაკულტეტის დონეზე უნივერსიტეტის დებულების „საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესაბამისად. საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლამ შეიმუშავა პროგრამის განხორციელებისა და შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პერიოდული შეფასება. იგი ემსახურება პროგრამის განვითარებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას. პროგრამის პირდაპირი შეფასება ემყარება: - სტუდენტთა შეფასების ანალიზს და პროგრამის შედეგების მიღწევასთან შედარებას, რაც გულისხმობს შუალედური და საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს. - სასწავლო კურსების მენტორთა ანგარიშების ანალიზს (სასწავლო პროცესში გამოვლენილი სირთულეები, სწავლების მეთოდები, კურსის სირთულე, სამუშაო დატვირთვა, სასწავლო მასალა) - სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევას, რომელიც ტარდება სემესტრის ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ინფორმაციის წყაროები მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასებისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი წყაროებიც. მაგალითად, კურსდამთავრებულთან ინტერვიუები სწავლის დასრულებისას, მათგან მიღებული ინფორმაცია უზრუნველყოფს დამატებით უკუკავშირს პროგრამის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, რომ ფოკუს-ჯგუფები იქნას გამოყენებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან ინფორმაციის მოსაპოვებლად, რადგან ეს უფრო ეფექტურია, ამ ჯგუფებში წევრთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, სწავლის ძირითადი შედეგის გრძელვადიანი მონიტორინგისათვის, რაც წარმოადგენს დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების უნარს, საჭიროა, რომ განხორციელდეს სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების სისტემატური მონიტორინგი. მათი კვლევის შედეგების რაოდენობა და ხარისხი ასახავს პროგრამის ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რჩევა ხარისხის შიდა გაუმჯობესების თაობაზე ჯერ კიდევ შეუსრულებელია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს და მეტწილად შესაბამისობაშია მის მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი ○ პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლისათვის ○ აკადემიური პერსონალის, სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ მიზანშეწონილია პროგრამის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიღება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, მათი მცირე რაოდენობისა და სიმწიფის დონის გათვალისწინებით (მაგ. დოქტორანტები).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფა მოიცავს პროგრამის შეფასებას გარე დაინტერესებული მხარეების მიერ და შედარებებს არსებულ გარემოსთან. თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციასა და ინტერვიუების დროს წარმოებულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოყენებული ინსტრუმენტები მოიცავს:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების ინდექსი - პროგრამის დასრულების შემდეგ ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ინდექსის პერიოდულად დადგენა და გაანალიზება.
- კურსდამთავრებულთა შეფასების კვლევის შედეგები ხარისხობრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით
- დამსაქმებელთა გამოკითხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით - რაც ემსახურება პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას. აღნიშნულ ჩარჩოებში ხორციელდება იმ უნარებისა და შესაძლებლობების კვლევა და განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია შრომის ბაზრისთვის და რომლებიც ითვლება დასაქმებისთვის სავალდებულო პირობად. აღნიშნული კვლევა ტარდება 3 წელიწადში ერთხელ.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით - რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის აზრით, პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება შესაბამისი კომპეტენციის, სწავლების მეთოდებისა და ლიტერატურის მუდმივი განახლების მიზნით. აღნიშნული კვლევა ტარდება 2 წელიწადში ერთხელ.
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი - პროგრამის გაუმჯობესებისა და განახლების მიზნით, მსგავსი პროგრამის მიმოხილვა ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო არსებული პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურენტუნარიანი საუნივერსიტეტო პროგრამების საფუძველზე.

ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა გუნდი ვერ დარწმუნდა, რომ დამსაქმებლებს წვლილი მიუძღვით პროგრამის შეფასებაში. დამსაქმებელთა წვლილი უფრო არსებითი შეიძლება იყოს, თუ მათი კვლევა, სამეცნიერო, ბიზნეს და სოციალური პროფილები შესაბამისობაში იქნება სადოქტორო პროგრამის მიზნებთან. დამსაქმებელთა ამგვარ ჯგუფს შეუძლია მოგვცეს უკუკავშირი და ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებული კვლევის ახალი სფეროების დადგენაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი
- პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლისათვის

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართულობა არ იყო აშკარა; იგი უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს უფრო არსებითი.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამას შეუძლია განახორციელოს არაფორმალური გარე შეფასების ღონისძიებების სიმულაცია, დეპარტამენტის / ფაკულტეტის გარე პერსონალის მონაწილეობით. შეიძლება გამოსადეგი იყოს უნივერსიტეტების გაერთიანების ორგანოების (როგორიცაა AACSB და CEEMAN) გამოცდილება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტმა შეიმუშავა პროგრამის უწყვეტი მონიტორინგის მექანიზმები, რასაც მივყავართ გაუმჯობესების ქმედებებთან. სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლებისაგან მიღებული გამოხმაურების დამუშავების გარდა, გამოყენებულია

სხვა მექანიზმები, როგორებიცაა ლექციების მიმდინარეობისა და სილაბუსის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პერიოდული მონიტორინგი.

უნივერსიტეტმა შექმნა ორი ონლაინ პლატფორმა, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამაზე, საგანმანათლებლო პროცესებსა და რესურსებზე ადმინისტრაციისთვის უწყვეტი გამოხმაურების მიწოდებას. "ჩემი UG" პლატფორმა სტუდენტებისთვის ღიაა მოსაზრების გამოხატვისა და პრობლემების დასაფიქსირებლად, ხოლო მსგავსი პლატფორმა, "ონლაინ UG", ემსახურება აკადემიურ პერსონალს.

პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის შედეგების განხილვა წარმოებს პერიოდულად.
პროგრამის განხორციელება იზომება: კურსების შეფასებით სტუდენტებისა და ლექტორების მიერ, სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასებით, კურსის პროგრამის მიზნებთან თანმიმდევრულობით, კურიკულუმის შეფასებით, სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით სამეცნიერო პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში, პუბლიკაციებში, სამეცნიერო მიმოხილვებითა და დისერტაციებით (მხოლოდ აკადემიური პერსონალისთვის).
პროგრამის შედეგები იზომება: კურსდამთავრებულთა მოსაზრებებით სასწავლო პროგრამაში ყველაზე მეტად და ნაკლებად გამოსადეგ კურსებზე, პროგრამით განვითარებული კომპეტენციების შესაბამისობით დასაქმებასთან, პროგრამის შესაბამისობით კარიერულ განვითარებასთან და დამსაქმებელთა მოსაზრებებით კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობის თაობაზე, აგრეთვე საჭირო კომპეტენციებთან დაკავშირებით.

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების პროცედურა უზრუნველყოფს შეფასების შიდა და გარე მეთოდების კომპილაციას, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას პროგრამის შეფასებაში და მის შემდგომ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა სპეციფიკურ მდგომარეობაშია იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ კონტროლდება იმ ფაკულტეტის მიერ, რომელიც სთავაზობს პროგრამას. კურსების უმეტესი ნაწილი შემოთავაზებულია ფაკულტეტის გარედან და ხორციელდება სხვადასხვა ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის. ეს ძალიან ართულებს კურიკულუმისა და შინაარსის დარეგულირების პროცესს, რათა უკეთ მოერგოს პროგრამის პროფილს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დახვეწილია უნივერსიტეტის დებულებები მონიტორინგთან და პერიოდულ განხილვასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუქცია
- პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლისათვის

○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ გასაუბრებების შედეგები ○ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: ○ უზრუნველყავით, რომ დოქტორანტურის საკითხის სასწავლო კომპონენტზე მორგება შესაძლებელი იყოს - არა მხოლოდ კურსების დამატებით / მოხსნით, არამედ ასევე კურსის პროფილის დიფერენციაციით, რათა უკეთ მოერგოს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საჭიროებებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ○ გამოკითხვების გარდა შეიმუშავეთ დამატებითი მექანიზმი, რათა დამსაქმებლებისაგან მიიღოთ დასტური, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები შეესაბამება პროგრამის პროფილს (მაგ. ფოკუს ჯგუფები, სადისკუსიო მრგვალი მაგიდები კვლევითი ინტერესების სფეროების შესახებ და სხვ.).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სადოქტორო პროგრამა „ ბიზნესის ადმინისტრირება"

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს		☒		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		☒		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პანდელის იპსილანდისი,

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მერაბ ხოხობაია

დავით რუსია

ქ-ნი ირმა ალექსიძე